მეტრეველის გადამწყვეტი გოლი

ლენინგრადი. ს. კიროვის სახელობის სტადიონი. 27 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) _ “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“ზენიტი”: ბელკინი, ნეპომილუევი, ნიკოლაევი, იზვეკოვი, დანილოვი, სადირინი, გუსევი, რიაზანოვი, ეფიმოვი, ბურჩალკინი, ნაუმოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, იამანიძე (ასათიანი), დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ასათიანმა.

ლენინგრადელებთან თამაში ამ დღეს გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენდა ყველა გუნდისთვის. ცნობილია, რომ “ზენიტმა” უხეიროდ დაიწყო სეზონი და პირველ მატჩში თავის სტადიონზე სეზონის გახსნისას ყველაფერს იღონებდა, რათა “დანაშაული” გამოესყიდა.

პირველი, რაც მასპინძლებმა გადაწყვიტეს, ეს იყო ცენტრის დაპყრობა და სულ მალე დასახულ ამოცანას მიაღწიეს კიდეც. იმ პერიოდში, როცა ბრძოლა წარმოებდა მინდვრის შუაგულისთვის, თბილისელთა თავდასხმა ერთობ პასიურად გამოიყურებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ნოდია, თუმცა გასაკვირი არაა, რომ ერთმა თავდამსხმელმა, თუნდაც ძალიან აქტიურმა, ვერ შეძლო კონტრთამაშის შექმნა. ზენიტელები თანდათან, მეთოდურად იპყრობდნენ ტერიტორიას, წინ მიიწევდნენ, მაგრამ აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა “დინამოს” დაცვამ. ხურცილავას ხელმძღვანელობით იგი იბრძოდა ორგანიზებულად, უპანიკოდ და ლენინგრადელთა თავდამსხმელებს თითქმის არ ჰქონდათ საშუალება აეღოთ კარი. თავდამსხმელთა დასახმარებლად დაიძრა გამოცდილი მცველი დანილოვი და ურუშაძეს აქ მოუხდა სახიფათო ბურთის მოგერიება. ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ.

ეს თავისებური “ცალმხრივობა” მთლიანად მოისპო შესვენების შემდეგ. მაშინვე, როგორც კი მისცა მსაჯმა სასტვენი, მძაფრ იერიშზე გადავიდნენ მეტრეველი და მესხი., რომლებსაც კარგად აუბა მხარი ასათიანმა. მძიმე დატვირთვა ახლა ლენინგრადელთა დაცვას დააწვა, მაგრამ აქ არ იგრძნობოდა ისეთი მთლიანობა, როგორც დინამოელთა უკანა ხაზებში. ერთ-ერთი იერიშისას მეტრეველმა აართვა ბურთი ნაუმოვს, სწრაფად, შეუფერხებლად შეიჭრა “ზენიტის” საჯარიმო მოედანში და ულამაზესი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში. ბელკინი, რა თქმა უნდა, უძლური იყო ეხსნა თავისი გუნდი. მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ იმავე ბელკინმა გადაარჩინა “ზენიტი” მეორე გოლს, როცა მის პირისპირ ასათიანი დარჩა.

ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა ლენინგრადელებს მხოლოდ ბოლო წუთებზე მიეცათ, როცა გუსევი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და აქ კვლავ შესანიშნავად ითამაშა ხურცილავამ. მან რთული ტექნიკური ილეთით გამოიტანა ბურთი კარიდან. თბილისელებმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

“ლელო”, 29 აპრილი, 1967 წ.